რეცენზია კრებულზე - „ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე - 85“. რედაქტორი ნ. ჯაველიძე, გამომცემლობა, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, თბილისი, 2023.



კრებული წარმოადგენს აღმოსავლეთმცოდნე თურქოლოგის, საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პუბლიცისტის, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ წერილებს.

ცნობილი თურქოლოგი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე დაიბადა 1937 წლის 5 აგვისტოს, ქ. თბილისში.

1956-1961 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1962 -2006 წლებში მუშაობდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. პარალელურად კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რუჰი ბაღდადი“ (ცხოვრება, მსოფლმხედველობა, ლირიკა). 1975 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჯელალ ედ დინ რუმი“ (მსოფლმხედველობის საკითხები).

ელიზბარ ჯაველიძეს 1988 წელს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურ-

ქოლოგიის კათედრის პროფესორის წოდება. იმავე წელს აირჩ-იეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდ-ენტად, 2013 წელს კი ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ბრძანდება, საქართვე-ლოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. ასევე, მეც-ნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივ მოქმედი კომი-სიის“ თავმჯდომარე.

ელიზბარ ჯაველიძე გახლავთ 20 მონოგრაფიის, 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და პუბლიცისტური წერილის ავტ-ორი.

კრებული გაყოფილია ორ ნაწილად: მილოცვები და იუბი-ლარისადმი მიძღვნილი წერილები, რომელსაც თან ერთვის ბიო-გრაფია და ბიბლიოგრაფიული ალბომი. კრებული შეადგენს 204 ნაბეჭდ გვერდს.

წარმოდგენილი კრებული მაღალ აკადემიურ დონეზეა შეს-რულებული და იგი დიდი შენაძენია აღმოსავლეთმცოდნეების, სტუდენტებისა და თურქოლოგიის საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, მკვლევრებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

პროფესორი ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი